დანართი ***No. 1***

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

დასკვნა

22.05.2025

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პიტერ პურგი, ნოვა გორიცას უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო სილაგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დეპარტამენტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ქავთარია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ააიპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ხელოვნებათმცოდნეობა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Art Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[1]	ხელოვნების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[2]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[1] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[2] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამა არის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება; მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ხელოვნების ისტორიის, თეორიული საფუძვლების და თანამედროვე პრაქტიკის ფართო ცოდნის გადაცემას.

კურიკულუმი მოიცავს მრავალფეროვან თემებს, მათ შორის ხელოვნების ისტორიას, ვიზუალურ კულტურას, ესთეტიკას, მუზეუმებისა და გალერეების კვლევას, ასევე კულტურის პოლიტიკას. კურსები მოიცავს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და რეგიონს, როგორც დასავლური, ასევე არადასავლური ტრადიციების გათვალისწინებით. პროგრამა ასევე მოიცავს კურსებს ჰუმანიტარულ სფეროში კვლევის მეთოდოლოგიებსა და ვიზუალური ანალიზის ინტერდისციპლინურ მიდგომებზე.

სწავლების ფორმატი აერთიანებს ლექციებს, სემინარებს, საველე ვიზიტებს და დამოუკიდებელ სწავლას. სტუდენტები ეცნობიან კრიტიკული აზროვნების ინსტრუმენტებსა და ანალიტიკურ მეთოდებს, რომლებიც რელევანტურია ხელოვნებისა და ვიზუალური კულტურის შესწავლისთვის. სასწავლო აქტივობები ასევე მოიცავს პრეზენტაციებს, დისკუსიებს და პროექტზე დაფუძნებულ სამუშაოს. ზოგიერთი კურსი მოიცავს პრაქტიკულ დავალებებს ან ვიზიტებს კულტურულ დაწესებულებებში.

პროგრამაში შედის არჩევითი კურსები, რომლებიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტული ინტერესების შესაბამისად და გაეცნონ მომიჯნავე დისციპლინებს. კურიკულუმი ასევე მოიცავს ენის კურსებსა და აკადემიურ წერას, რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა აკადემიური განვითარების მხარდაჭერას.

შეფასების მეთოდების ფორმებია: წერითი გამოცდები, ესეები, პრეზენტაციები და პორტფოლიოს წარდგენა კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის საბოლოო წელი, როგორც წესი, მოიცავს კვლევით პროექტს ან ნაშრომს, რომელსაც სტუდენტი ახორციელებს აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით.

აკადემიური პერსონალი შედგება ხელოვნების ისტორიის, კულტურის თეორიისა და დაკავშირებული სფეროების სპეციალისტებისგან და თანამშრომლობს შესაბამისი სფეროს გარე პარტნიორებთან (დამსაქმებლებთან). პროგრამა ხორციელდება საქართველოს უმაღლესი განათლების ეროვნული სტანდარტების შესაბამისად და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩარჩოსთან.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2025 წლის 28 მარტს კავკასიის უნივერსიტეტში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა 5 წევრისაგან, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტი ხელმძღვანელობდა.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრა გამართა ონლაინ ფორმატში (Zoom -პლატფორმის საშუალებით), რომლის დროსაც განიხილეს პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, დაგეგმეს ვიზიტის დღის წესრიგი და განსაზღვრეს ძირითადი საკითხვები, რომლებზეც უნდა გამახვილებულიყო ყურადღება ადგილზე ვიზიტის დროს.

შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში, ექსპერტთა ჯგუფს მხარს უჭერდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) წარმომადგენლები. გასაუბრების დროს ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, შეხვედრები უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნის მომსახურებითა.

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტი წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა თანამშრომლობითი მიდგომით. ექსპერტთა ჯგუფი გამოხატავს მადლიერებას კავკასიის უნივერსიტეტის მიმართ პროცესის შეუფერხებელი ორგანიზებისთვის. ჯგუფმა შეხვედრები გამართა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაიმართა საბოლოო შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც განიხილეს დარჩენილი საკითხები და ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები. ასევე დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკა.

ვიზიტის დროს, დაწესებულებისგან მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც დროულად იქნა წარმოდგენილი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მთელი პროცესის განმავლობაში გამოავლინეს ღიაობა და კონსტრუქციული მიდგომა, შეფასება კი აღიქვეს როგორც პროგრამის შემდგომი განვითარების ღირებული შესაძლებლობა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სასწავლო პროგრამა სრულად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრულ მოქმედ სტანდარტებს. მისი მიზნები და სწავლის შედეგები (1.1, 1.2) მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება პროგრამის პროფილს და გამყარებულია შეფასების მექანიზმით (1.3), რაც უზრუნველყოფს შედეგების გაზომვადობასა და ეფექტურ შეფასებას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (1.4), ისევე როგორც აკადემიური კურსებისა და საგნების დიზაინი (1.5), თანმიმდევრულია და შესაბამისობაშია ეროვნულ და ინსტიტუციურ სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება (2.3) მრავალფეროვანია და შეესაბამება სწავლის შედეგებს, ხოლო სტუდენტთა შეფასების პროცედურები (2.4) გამჭვირვალე და თანმიმდევრულია. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიღების წინაპირობები (2.1) და ხელს უწყობს პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას (2.2). პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის აკადემიურ ხელმძღვანელობას და მხარდამჭერი სერვისების შეთავაზებას (3.1) და საჭიროების შემთხვევაში
მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის (3.2) უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით. პროგრამის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი (4.1), მათ შორის საჭირო კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელები (4.2), და იძლევა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს (4.3). მასალურ-ტექნიკური რესურსები (4.4) შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს, ხოლო ფინანსური მდგრადობას

უზრუნველყოფს ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა. ხარისხის უზრუნველყოფა ინტეგრირებულია პროგრამაში შიდა (5.1) და გარე (5.2) შეფასების მექანიზმების მეშვეობით, ასევე პროგრამის რეგულარული მონიტორინგისა და გადახედვის (5.3) გზით, რაც უზრუნველყოფს მის უწყვეტ გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**:**

- სასურველია განიხილოთ თანამშრომლობის გაფართოება დამატებით გალერეებთან ან ფიზიკურ საგამოფენო სივრცეებთან, რათა გააძლიეროთ პროგრამის ეს ძლიერი მხარე და მნიშვნელოვანი პოტენციალი. (1.3)

- პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმატებისა და გრაფიკის ისე ადაპტირება, რომ შემცირდეს სტუდენტების დატვირთვა და დავალებების სიხშირე, რაც უზრუნველყოფს უფრო დაბალანსებულ და მართვად სასწავლო პროცესს. (1.4)

- **ზოგიერთ სილაბუსს, განსაკუთრებით არჩევითი კურსების, წაადგებოდა მცირე გადახედვა, მათ შორის ბიბლიოგრაფიის განახლება**. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხელს უწყობს ინტერდისციპლინარულ ჩართულობას და მოიცავს ხელოვნების ისტორიის შესაბამის შინაარსს, სასურველი იქნებოდა კურსის დამატება, რომელიც ხელოვნების ნიმუშების ანალიზზე იქნებოდა კონცენტრირებული, აღნიშნული კომპონენტი მეტად განმტკიცებისათვის.. კერძოდ:

    - სასურველია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არტისტული განვითარების ანალიზის მეთოდს, სპეციალური მიდგომის შემუშავებით, რომელიც დამახასიათებელია ამ სამეცნიერო დარგისთვის (ხელოვნების ნიმუშის აღწერის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის).
    - სასურველია – „ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორია, პრევენციული კონსერვაციის საკითხების“ სილაბუსში სათაურიდან ტერმინი „პრევენციული კონსერვაციის საკითხების“ ამოღება. (1.5)

- სასურველია, სილაბუსებში ინტეგრირდეს პრაქტიკული გამოცდილება გამოფენების მომზადების პროცესში. საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნული უნდა განხორციელდეს თანამედროვე კულტურულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით. (2,2)
- სასურველია, სტუდენტთა მხარდაჭერა, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საბაკალავრო ვორქშოფებში, კონფერენციებსა და საზაფხულო სკოლებში. (2.2).
- სასურველია, საფუძვლიანად გადაიხედოს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები, ვინაიდან ზოგიერთ კურსში უკვე წარმატებით გამოიყენება

ინოვაციური მიდგომები, მაშინ როცა სხვა კურსები საჭიროებს მეთოდოლოგიურ დახვეწას, რომელიც უკეთ მოერგება თითოეული საგნის სპეციფიკურ მოთხოვნებს.

- კერძოდ, ეს გულისხმობს ზოგიერთი კურსის სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვას მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად, სასურველია პრაქტიკული მეთოდების (როგორიცაა სამუზეუმო პრაქტიკა ან საველე მეთოდები) გამოყენების გაზრდა ისეთ კურსებში, როგორიცაა „პრეისტორიული და ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების ისტორია," „ევროპული ხელოვნების ისტორია ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე" და ა.შ. ასევე სასურველია გაიზარდოს ხელოვნების ნიმუშის სამხატვრო-სტილისტური თავისებურებების ანალიზის, მისი ინტერპრეტაციისა და შეფასების მეთოდების გამოყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა „ბაროკო: სტილის ევოლუცია ელ გრეკოს, კარავაჯოს, ველასკესის, რუბენსის, რემბრანდტის და სხვათა შემოქმედების მიხედვით." (2.3)

- სასურველია გაზარდოთ სტუდენტების ინფორმირებულობა და ცოდნა სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე. (3.1.)

- სასურველია, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, პროგრამამ შეიმუშავოს უფრო მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები პერსონალის დატვირთვისა და შესრულების მოლოდინების შესახებ და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი მიწოდება, განსაკუთრებით ახალ თანამშრომლებთან. სასურველია წახალისების მექანიზმების დაწესება მოწვეული პერსონალისთვის, რომლებიც ამჟამად მუშაობენ შედარებით დაბალი ანაზღაურების პირობებში. ეს გაუმჯობესებდა მათ მოტივაციასა და შენარჩუნებას. სასურველია პერსონალის რეზიუმეების განახლება, რათა ასახავდეს მათ ბოლო აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობას. ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას და პროგრამის აკადემიური პოტენციალის უკეთ წარმოჩენას. (4.1)

- პერსონალის, პროგრამის და დარგის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში, სასურველია პერსონალის მხარდაჭერა მათი კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიმართულებით. (4.3).
- სასურველია, გაიზარდოს მოწვეული პერსონალის განვითარების მხარდაჭერა და შესაბამისი წახალისების მექანიზმების უზრუნველყოფა (4.3).
- სასურველია, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის წახალისება საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად; ასევე საერთაშორისო მეცნიერების, ლექტორების, კურატორების, გალერისტების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; სასურველია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში; კავშირები დამყარება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრთან. (4.3).
- სასურველია განახლდეს ზოგიერთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ბი (4.3).

- სასურველია, პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის, JSTOR -ის დამატება, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ერთ- ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ონლაინ რესურსია. სასურველია, სასწავლო მასალები ხელმისაწვდომი იყოს ონლაინ რეჟიმში და წვდომა განხორციელდეს საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემის მეშვეობით. (4.4).
- სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ელექტრონული ონლაინ სწავლების სისტემის დანერგვას შესაბამის ონლაინ პლატფორმაზე. (4.4).

- სასურველია შიდა შეფასების კულტურის გაძლიერება, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალში. (5.1)
- სასურევლია დამატებითი ძალისხმევა იქნას მიმართული გარე კოლეგიალური შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და მათზე რეაგირების მიმართულებით (5.2)

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა **(**არსებობის შემთხვევაში**)**[3]

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა სტრუქტურირებულად და ინკლუზიურად არის შემუშავებული, და მასში ჩართულია აკადემიური და ინდუსტრიული პარტნიორების ფართო სპექტრი. ეს თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პროგრამა თანამედროვე ხელოვნების პრაქტიკისთვის აქტუალური დარჩეს და კარგად იყოს მხარდაჭერილი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის (QA) პერსონალის მიერ, რაც ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საუკეთესო მატერიალურ პირობებს, თანამედროვე კამპუსით, რომელიც სრულად პასუხობს პროგრამის საჭიროებებს. პროგრამა უზრუნველყოფს საკმარის აღჭურვილობას და რესურსებს როგორც ტრადიციული, ისე ციფრული ხელოვნების პრაქტიკების მხარდასაჭერად, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა საჭირო ინსტრუმენტებზე მათი შემოქმედებითი და აკადემიური ზრდისათვის.

კავკასიის უნივერსიტეტი მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, განსაკუთრებით მის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის, რომლებიც ამაყობენ ამ უნივერსიტეტით და თავს მის ნაწილად თვლიან. ფაკულტეტის წევრები ასევე ავლენენ პროგრამისადმი დიდ მხარდაჭერას. რაც ხელს უწყობს პოზიტიური აკადემიური გარემოს შექმნას და უზრუნველყოფს სტუდენტების წარმატებას.

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების**,** ან არ გაზიარების

თაობაზე;

იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა კომენტარი დასკვნის პროექტში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, აღნიშნულ ველს ტოვებს თავისუფალს.

- ხელახალი აკრედიტაციისას**,** მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა **(**ასეთის არსებობის შემთხვევაში**)**

არ ეხება

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები**,** სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე.

გარდა იმისა, რომ ხელოვნებისა და კულტურის ყველა მოქმედი დაინტერესებული მხარე ადასტურებს, კურსდამთავრებულის პროფილი ასევე შეესაბამება არაპროფესიონალთა მოლოდინებს ან "წარმოდგენებს", განსაკუთრებით ეს ეხება ქართული კულტურის საერთაშორისო მასშტაბით კომუნიკაციასა და პოპულარიზაციას. გასაუბრებაზე დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს პროგრამაში არსებული ძლიერი და ფართო თეორიული ცოდნა რადგან მათი თქმით, ასეთი ფართო განათლება მრავალფეროვან კარიერულ შესაძლებლობებს იძლევა. დამსაქმებლები თანხმდებიან, რომ ამ პროგრამის პროფილს შეუძლია რეალურად მოამზადოს "უმცროსი კურატორები", რომლებსაც ადვილად შეუძლიათ თავიანთი კარიერის შემდგომი განვითარება სხვადასხვა სამაგისტრო მიმართულებით.

პროგრამის ზოგადი მიზნები (ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სპეციალისტების მომზადება და მათთვის მსოფლიო და ეროვნული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების, ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინარული საკითხებისა და ხელოვნების შესწავლის თავისებურებების შესახებ კომპლექსური ცოდნის მიწოდება; ეროვნული და გლობალური კულტურული პროცესების კონტექსტის შესწავლა, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ზოგადი ცოდნის მიწოდება; ხელოვნების ნიმუშებისა და მხატვრული პროცესების ანალიზისა და კვლევის უნარის განვითარება; პროფესიულ საკითხებზე დასაბუთებული მოსაზრებებისა და დასკვნების წარდგენის, პროფესიული ტერმინოლოგიის წერილობითი/ზეპირი ფორმით გამოყენების და სამიზნე აუდიტორიასთან შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ეფექტური კომუნიკაციის, ასევე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება.) ითვალისწინებს სფეროსა და მეცნიერების დარგს. პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები

და განსაზღვრავს იმ კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც სტუდენტებში პროგრამა ისახავს მიზნად.

პროგრამა შეესაბამება ეროვნული და ინსტიტუციური უმაღლესი განათლების სტანდარტებს, აქვს კარგად შემუშავებული კურიკულუმი, რომელიც აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის, ისტორიული ანალიზის და კვლევითი მეთოდოლოგიების დაბალანსებულ კომბინაციას. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს სტუდენტების აღჭურვას ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპრეტაციის უნარებით, რომლებიც რელევანტურია ხელოვნების ისტორიისა და თეორიისთვის. პროგრამის შეფასების სტრატეგიები აჩვენებს სტუდენტების მიერ ცოდნის გაგების, კვლევის უნარისა და გამოყენების გაზომვად პროგრესს. ინტერდისციპლინარული მიდგომა: კურსები უნდა აერთიანებდეს ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კულტურის კვლევებისა და ესთეტიკის პერსპექტივებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ხელოვნების ისტორიის ფართო გაგებას მის უფრო ვრცელ კონტექსტში. სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კულტურის კვლევებისა და ესთეტიკის პერსპექტივები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ხელოვნების ისტორიის ფართო გაგებას მის უფრო ვრცელ კონტექსტში. პროგრამა იძლევა სტაჟირების შესაძლებლობებს, სტუენტებს სთავაზობს მუზეუმებთან თანამშრომლობას და საკურატორო პროექტებს, რაც ხელს უწყობს აკადემიური სწავლების დაკავშირებას რეალურ გამოცდილებასთან. პროგრამა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სწავლების, დისერტაციაზე მუშაობის და სამეცნიერო პუბლიკაციებზე წვდომის შესაძლებლობებს სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით.

საბაკალავრო პროგრამა ავლენს კარგ შესაბამისობას როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ასევე უფრო ფართო საერთაშორისო ტენდენციებთან, კურსდამთავრებულის ისეთი პროფილის ჩამოყალიბებით, რომელიც კონტექსტუალურად რელევანტური და გლობალურად კონკურენტუნარიანია. კურიკულუმი ინტერდისციპლინარული შინაარსისა და გლობალურ კულტურულ პროცესებზე აქცენტის მეშვეობით ასახავს ინტერნაციონალიზაციას, ამავდროულად ითვალისწინებს ეროვნული მემკვიდრეობის კონტექსტს. ასეთი მიდგომა სტუდენტებს აღჭურვავს მრავალმხრივი უნარებით, რომლებიც ფასეულია როგორც ადგილობრივი დამსაქმებლებისთვის, ისე საერთაშორისო კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისთვის. პროგრამის მიზნები და შედეგები არის (ან უნდა იყოს) ფართოდ გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის, ისე პოტენციური სტუდენტებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის აქტუალობასა და მიმართულებას მუდმივად ადასტურებენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე დამსაქმებლები და კულტურის სფეროს გარე წარმომადგენლები, რაც მიუთითებს საერთო ძალისხმევაზე ხელი შეუწყონ პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- პროგრამის სტრუქტურა
- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	**X**	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამა ხაზს უსვამს მის შესაბამისობას აკადემიურ სტანდარტებთან და ინდუსტრიის მოლოდინებთან. პროგრამა სთავაზობს ყოვლისმომცველ კურიკულუმს, რომელიც მოიცავს ისტორიულ პერიოდებს, თეორიულ ჩარჩოებსა და მეთოდოლოგიებს ხელოვნების ისტორიაში. პროგრამაში ინტეგრირებულია კრიტიკული აზროვნება, კვლევის უნარები და ინტერდისციპლინური მიდგომები, რაც სტუდენტებს საგნის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ეხმარება. პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის ეროვნულ და ინსტიტუციურ მოთხოვნებს. პროგრამა უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებას და აწესებს მიღების მკაფიო კრიტერიუმებს, რომელიც ითვალისიწნებს როგორც აკადემიურ კვალიფიკაციას, ასევე ენის ფლობის სტანდარტებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამების ზოგადი მიზანია ხელოვნების ისტორიკოსების მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს მათი „შეიარაღებას“ არა მხოლოდ ხელოვნების ისტორიის ცოდნით, არამედ თანამედროვე ხელოვნების დისციპლინების ზოგადი ცოდნით, მათ შორის ანალიტიკური, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის განვითარებას როგორც ფართო (კურიკულუმი), ისე ვიწრო (სასწავლო კომპონენტები) კონტექსტში. პროგრამა ეფუძნება ბლუმის ტაქსონომიას, ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილია მისი სტრუქტურითა და შინაარსით (ძირითადი შედეგები: სტუდენტი განასხვავებს, განიხილავს და აფართოებს ხელოვნებაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეპოქებს, სტილისტურ მიმდინარეობებსა და ეროვნულ სკოლებს; აღწერს და განსაზღვრავს მხატვრული განვითარების პროცესებს, განმარტავს და ინტერპრეტაციას უკეთებს მხატვრული გამოხატვის მრავალფეროვან ფორმებს უძველესი დროიდან დღემდე; იყენებს ხელოვნების ისტორიის ამ სფეროში კვლევის შედეგებს, განიხილავს და წერილობით გადმოსცემს ძირითად სამეცნიერო საკითხებს; მიმოიხილავს ხელოვნების ისტორიის კვლევას და აყალიბებს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კონკრეტულ პრობლემებს და ა.შ.).

პროგრამა იმგვარად არის შემუშავებული, რომ ყურადღებას ამახვილებს კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევების შესაბამისობაზე ხელოვნების ისტორიის სფეროში არსებულ დასაქმების მოთხოვნებთან, ამავდროულად, უზრუნველყოფს მყარ საფუძველს მაგისტრატურის დონეზე შემდგომი აკადემიური წინსვლისთვის. მისი სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება დისციპლინის სპეციფიურ მოთხოვნებს, აერთიანებს როგორც ისტორიულ ცოდნას, ასევე თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს. სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მიზნად ისახავს კურსდამთავრებულების აღჭურვას ანალიტიკური, კვლევითი და კომუნიკაციის უნარებით, რომლებიც რელევანტურია ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში კარიერისთვის. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ყველა მონაწილემ იცის, რომ ამ შედეგების შემუშავება ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას და გამოყენებადობას როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- პროგრამის სტრუქტურა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**:**

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	**X**	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში მოქმედებს კარგად სტრუქტურირებული და კარგად განსაზღვრული მექანიზმი, რომლითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება. შეფასების პროცესი მიჰყვება შესაბამისი მონაცემების განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის მკაფიო ციკლს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების სისტემატურად გაზომვას. პროგრამა ეფექტურად აერთიანებს შეფასების როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ ფორმებს, რაც გამოიხატება ისეთი დავალებებით, როგორიცაა „ონლაინ გამოფენა და ესე“, რომლებიც მრავალფეროვნებას ანიჭებს შეფასების მეთოდებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობის მოქნილობას.

პროგრამას სწავლის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები; დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგისა და სამიზნე ნიშნულებთან შედარების სისტემა, ხოლო პროგრამის პერსონალმა ინტერვიუებში ძირითადად დაადასტურა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების ცოდნა. ჩანს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი დახმარებას იღებს სასწავლო შედეგების ფორმულირების, გაზომვისა და ანალიზისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში, რადგან მათ ინტერვიუებში საკმაოდ კომპეტენტურად ისაუბრეს ამ საკითხზე.

პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა გამოფენების კონცეფციისა და დიზაინის ინტეგრაცია კურსის სტრუქტურაში. სკოლის გამოფენები ინტეგრირებულია სილაბუსებში, რაც აძლიერებს პრაქტიკულ სწავლებას. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, სტუდენტების ნამუშევრების წარმოსაჩენად გარე პარტნიორად მხოლოდ გალერეა 4710 დასახელდა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ჯგუფი 25 სტუდენტისგან შედგება, ერთ საგამოფენო სივრცეზე დამოკიდებულება — უპირატესად ონლაინ — აჩენს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, იღებს თუ არა ყველა სტუდენტი საკმარის პრაქტიკულ გამოცდილებასა და შეფასების შესაძლებლობებს. დამატებით გალერეებთან ან ფიზიკურ საგამოფენო სივრცეებთან თანამშრომლობის გაფართოება ამ ასპექტს გააძლიერებდა.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შედეგები კარგად შეესაბამება კვლევით გამოვლენილ საჭიროებებს. NET.CE-ის ონლაინ სისტემის ინტეგრაცია, რომელსაც აქვს ანალიტიკური პრაქტიკის დიდი გამოცდილება, ქმნის საიმედო საშუალებას სწავლის შედეგების მონიტორინგისთვის. სისტემა ქმნის მყარ საფუძველს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისა და მომავალი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია განიხილოთ თანამშრომლობის გაფართოება დამატებით გალერეებთან ან ფიზიკურ საგამოფენო სივრცეებთან, რათა გაამლიეროთ პროგრამის ეს ძლიერი მხარე და მნიშვნელოვანი პოტენციალი.

შეფასება

პროგრამის ამბიციური შედეგები კარგად არის გამყარებული კვლევით გამოვლენილი საჭიროებებით და არსებობს სწავლის შედეგების მიღწევის სისტემა, რომელიც ეფუძნება NET.CE ონლაინ სისტემას, მათ შორის საფუძვლიან ანალიტიკურ პრაქტიკას, რომელზეც პროგრამა, სავარაუდოდ, შეძლებს დაყრდნობას მომავალში.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**X**	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი მოიცავს მეცნიერების სფეროში უახლესი მიღწევებისა და არსებული მეთოდოლოგიების გამოყენებას და შესაბამისი უნარების განვითარებას. პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. პროგრამის შინაარსი და საგანმანათლებლო მასალები შეესაბამება განათლების დონეს და არსებულ მოთხოვნებს. პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. პროგრამის შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/კვლევითი/მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.)

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიისა და კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიის შესაბამისად, ასევე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრის პროგრამების მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შემდეგია: თითოეულ სემესტრში ისწავლება სულ 30 ECTS კრედიტი; პროგრამის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ბლოკებს: სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტების შესწავლას ეთმობა 120 ECTS კრედიტი, რომელიც მოიცავს თეორიულ და ისტორიულ საგნებს, რომლებიც ავითარებენ ზოგად პროფესიულ კომპეტენციას; სავალდებულო დარგობრივ კურსებს (ჯამში 90 ECTS კრედიტი) და სავალდებულო არჩევით კურსებს (ჯამში 30 ECTS კრედიტი), რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ეპოქებთან და საკითხებთან; სავალდებულო დარგობრივი კურსების 10 ECTS კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას. პროგრამაში 60 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი კურსებს (28 ECTS კრედიტი გამოყოფილია ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისთვის). პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მისი სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმატებისა და პრაქტიკის დაგეგმვის დახვეწა, რათა შემცირდეს სტუდენტების დატვირთვა და დავალებების სიხშირე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ამჟამინდელი სტრუქტურა ლოგიკურად ორგანიზებული და ყოვლისმომცველია, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი მიუთითებს, რომ სასწავლო კურსის ინტენსივობამ და გარკვეულ პერიოდებში დავალებების დაჯგუფებამ შეიძლება სტრესი გამოიწვიოს და ოპტიმალური სწავლისთვის ხელი შეუშალოს. ამ ელემენტების კორექტირება ხელს შეუწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი დრო სასწავლო მასალის გასაანალიზებლად და ათვისებისთვის, რაც ხელს შეუწყობს საგნის უფრო ღრმა გაგებასა და უფრო მნიშვნელოვან ჩართულობას. დავალებების უფრო დაბალანსებული განაწილება სემესტრის განმავლობაში, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების დივერსიფიკაციასთან ერთად, ასევე უკეთ შეუწყობს ხელს სწავლის სხვადასხვა სტილის გათვალისწინებას და კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარების გაუმჯობესებას. ეს გაუმჯობესებები არა მხოლოდ სტუდენტების კეთილდღეობასა და აკადემიურ წარმატებას შეუწყობს ხელს, არამედ პროგრამის საერთო ეფექტურობასა და მდგრადობას შეუწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმატებისა და გრაფიკის ისე ადაპტირება, რომ შემცირდეს სტუდენტების დატვირთვა და დავალებების სიხშირე, რაც უზრუნველყოფს უფრო დაბალანსებულ და მართვად სასწავლო პროცესს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლ	**X**	☐	☐	☐

ო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 30 სავალდებულო სასწავლო კურსს, 21 სავალდებულო-არჩევით კურსს (მათგან სტუდენტმა უნდა აირჩიოს 7) და 11 თავისუფალ არჩევით კურსს. კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სილაბუსები მოიცავს ყველა საჭირო საბაზისო ინფორმაციას. სილაბუსში მოცემული სასწავლო შინაარსი შეესაბამება როგორც თავად კონკრეტული კურსის სასწავლო მიზნებსა და შედეგებს, ისე პროგრამაში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფს კვალიფიკაციით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევას.

პროგრამა აერთიანებს რამდენიმე დარგს, როგორიცაა სახვითი ხელოვნების ისტორია, არქიტექტურის ისტორია და ციფრული მედია. პროგრამის ფარგლებში, თითოეულ მათგანში ფართო ცოდნის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიური დისციპლინები წარმოდგენილია რამდენიმე სემესტრზე განაწილებული, ე.წ. ლონგიტიდური ფორმატით.

შესაბამისად, შესაძლოა საჭირო გახდეს ზოგიერთი სილაბუსის მცირე გადახედვა (ზოგიერთი არჩევითი კურსის, მაგ. სავალდებულო კურსების – „ევროპული ხელოვნების ისტორია ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე ,“ „ქართული ხელოვნების ისტორია ქრისტიანობამდელი ხანიდან შუა საუკუნეებამდე,“ და ა.შ. ასევე არჩევითი კურსის – „ფრანგული მხატვრობა კლასიციზმიდან სატირულ რეალიზმამდე“ (დამყარებული დომინიკ ენგრის, ეჟენ დელაკრუას, კამილ კოროს, ონორე დომიეს და სხვების შემოქმედებაზე)), რათა შეთავაზებული იყოს უფრო სრულყოფილი ცოდნა, უფრო მოცულობითი და დაბალანსებული ინფორმაცია არტისტული განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს იმ სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელიც ამ სამეცნიერო დარგს ახასიათებს (ხელოვნების ნიმუშის აღწერა, ანალიზი და ინტერპრეტაცია).

ასევე, შესაძლოა ზოგიერთი სილაბუსის მცირე გადახედვა ბიბლიოგრაფიის თვალსაზრისიდანაც: დამატებითი ლიტერატურა ბევრ შემთხვევაში საკმაოდ მრავალრიცხოვანია საბაკალავრო

საფეხურისთვის და შესაძლებელია მისი შემცირება 4-5 ძირითად სამეცნიერო წყარომდე შესაბამის დარგში (მაგ.).

„ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორია, პრევენციული კონსერვაციის საკითხების“ სილაბუსის განხილვის საფუძველზე სასურველია და, რომ სილაბუსის სათაურიდან ამოღებული იყოს ტერმინი „პრევენციული კონსერვაციის საკითხები.“ (სილაბუსის ინგლისურენოვანი ვერსია არ არის თანდართული). მიუხედავად იმისა, რომ პრევენციული კონსერვაცია და რესტავრაცია ზოგადად აღნიშნულია სილაბუსში, აღნიშნული თემა კურსში დამოუკიდებლად არ განიხილება და მისი სიღრმისეული შესწავლა საჭიროებს ქიმიის საბაზისო ცოდნას, რაც, სავარაუდოდ, სცდება კურსის მიზნებსა და მიზნობრივ აუდიტორიას.

ასევე სასურველია, რომ რენესანსის ზოგადი კურსები, როგორიცაა „ევროპული სახვითი ხელოვნების ისტორია – რენესანსი,“ „ჩრდილოეთის ევროპული რენესანსის ძირითადი მხატვრული ტენდენციები იან ვან ეიკის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახ უფროსის და პიტერ ბრეიგელის ნამუშევრების საფუძველზე" და „სტილის ევოლუცია პროტო -რენესანსიდან მანერიზმამდე“ არ ისწავლებოდეს ერთსა და იმავე სემესტრში. სამივე საგანი ისწავლება პირველი კურსის მეორე სემესტრში. უფრო რაციონალური იქნებოდა, ამ ორი საგნის გადატანა მეორე კურსის პირველ სემესტრში.

ზოგიერთ სილაბუსში სასურველია ასევე მიეთითოს ახლადგამოქვეყნებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

ზემოთმოყვანილი რჩევების გარდა, გაუმჯობესება შესაძლებელია ასევე შერჩეული აკადემიური სილაბუსების გადახედვისა და განახლების გზით, განსაკუთრებით არჩევით კურსებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა წარმატებით აერთიანებს ინტერდისციპლინურ მიდგომებს და სთავაზობს ხელოვნებათმცოდნეობრივი შინაარსის ფართო სპექტრს, გარკვეულ სილაბუსებში სასარგებლო იქნებოდა უფრო თანამედროვე სამეცნიერო წყაროების მითითება და ბიბლიოგრაფიის ისეთი სახით განსაზღვრით, რომელიც უკეთესად ასახავდა საბაკალავრო საფეხურისათვის შესაბამის მასშტაბსა და სიღრმეს. გადაჭარბებულად დიდი ლიტერატურული ჩამონათვალის შემცირება და თითო კურსზე 4–5 ძირითად ტექსტზე კონცენტრირება გაზრდიდა სილაბუსების სიცხადესა და ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ეფექტურად აცნობს სტუდენტებს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდსა და მეთოდოლოგიას, ამ ეტაპზე პროგრამა არ მოიცავს სპეციალურად ხელოვნების ნიმუშების ვიზუალურ და ფორმალურ ანალიზზე კონცენტრირებულ კურსს – რომელიც საბაზისო უნარია ხელოვნებათმცოდნეობაში. მსგავსი კურსის შეთავაზება გააძლიერებდა სტუდენტების უნარს კრიტიკულად დააკვირდნენ ვიზუალურ მასალას, აღწერონ იგი და მისი ინტერპრეტირება მოახდინონ, რითაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ ანალიტიკურ კომპეტენციას დაუკავშირებენ. აღნიშნული დამატება შესაბამისობაში იქნება ხელოვნებათმცოდნეობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან და გაზრდის სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიურ სიძლიერეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **ზოგიერთ სილაბუსს, განსაკუთრებით არჩევითი კურსების, წაადგებოდა მცირე გადახედვა, მათ შორის ბიბლიოგრაფიის განახლება**. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხელს უწყობს ინტერდისციპლინარულ ჩართულობას და მოიცავს ხელოვნების ისტორიის შესაბამის შინაარსს, სასურველი იქნებოდა კურსის დამატება, რომელიც ხელოვნების ნიმუშების ანალიზზე იქნებოდა კონცენტრირებული, აღნიშნული კომპონენტი მეტად განმტკიცებისათვის.. კერძოდ:
    - სასურველია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არტისტული განვითარების ანალიზის მეთოდს, სპეციალური მიდგომის შემუშავებით, რომელიც დამახასიათებელია ამ სამეცნიერო დარგისთვის (ხელოვნების ნიმუშის აღწერის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის).
    - სასურველია – „ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორია, პრევენციული კონსერვაციის საკითხების“ სილაბუსში სათაურიდან ტერმინი „პრევენციული კონსერვაციის საკითხების“ ამოღება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	**X**	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები**,** სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია**,** პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ფლობა და ეროვნული გამოცდების ჩაბარება. პროგრამა ითხოვს უცხო ენის სახით, ინგლისური ენის ჩაბარებას. პროგრამაზე მიღება მობილობის გზით შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მიღების წინაპირობები ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა. ინფორმაციაზე წვდომა უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ.

პროგრამა მკაფიოდ ასახავს მიღების წინაპირობებს, როგორიცაა საგანმანათლებლო კვალიფიკაცია (ზოგადი განათლების საფეხური და ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება). მიღების პროცესი ნათლადაა აღწერილი (მათ შორის, განაცხადის წარდგენის პროცედურაც). ენის ცოდნის დონე ასევე შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. მიღების პროცესი ინკლუზიურია და უზრუნველყოფს თანასწორობასა და ხელმისაწვდომობას. მიღების წინაპირობები შეესაბამება ეროვნულ საგანმანათლებლო კანონმდებლობასა და პოლიტიკას. პროგრამა ნათლად ახდენს დაშვების მოთხოვნების კომუნიცირებას შესაძლო სტუდენტებთნ, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და გაგებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის აღწერილობა
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**X**	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული**,** სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლოდა ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა სთავაზობს ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული, ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარებას, სასურველი სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კურსებს და სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას.

სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გამდიდრების მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა გარე ორგანიზაციასთან.

უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტების მომზადებას აკადემიურ გარემოში წარმატებით ფუნქციონირებისთვის. ეს მოიცავს ანალიტიკური აზროვნების, გააზრების, სინთეზის, კვლევის, კრიტიკული მსჯელობის, ადაპტაციის, პრეზენტაციის, პროფესიული კომუნიკაციის, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის, გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა უნარების განვითარებას. მოცემული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იძენენ ტრანსფერულ

უნარებს თავიანთი პრაქტიკული და პროფესიული კომპეტენციების პარალელურად. სამწლიანი სწავლის განმავლობაში აქცენტი გაკეთებულია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო კურსებზე, ისე კონკრეტულ, ვიწრო თემატიკაზე. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფორმაციული ტექნოლოგიების, აკადემიური წერის, ციფრული მარკეტინგისა და ვირტუალური გამოფენის შესწავლას, და ენობრივ კომპეტენციას, განსაკუთრებით ინგლისურში. სიახლეა კურსები ექსპოზიციური ხელოვნებისა და საგამოფენო პროექტის მენეჯმენტის შესახებ. გარდა ამისა, კლასგარეშე აქტივობების, სტუდენტური კონფერენციებისა და გაცვლითი პროგრამების ჩართვა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების კვლევითი, პრაქტიკული და პროფესიული უნარების განვითარებაში, ხელს უწყობს მათ დამოუკიდებლად მოქმედების უნარს და ეხმარება ანტრეპრენორული მიდგომების ფორმირებას. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს ვიზიტებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სადაც სტუდენტები ლექტორების ხელმძღვანელობით ეცნობიან ხელოვნების ნიმუშებს. გარდა ამისა, კავკასიის უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტური (მოცემულ შემთხვევაში, საბაკალავრო საფეხურის) კონფერენციების ჩატარებასაც, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს , ჩაერთონ დისკუსიებში, ახალისებს მონაწილეობას სამეცნიერო- კვლევით აქტივობებში და ეხმარება დამოუკიდებელი კვლევის, შედეგების პრეზენტაციისა და საკუთარი სამეცნიერო მოსაზრებების დაცვის უნარის განვითარებაში. მნიშვნელოვანია სტუდენტების მხარდაჭერა, რათა მათ საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის საერთაშორისო საბაკალავრო ვორქშოფებში, კონფერენციებსა და საზაფხულო სკოლებში.

პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია პრაქტიკული ტრენინგი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაზეც გაფორმებულია მემორანდუმები (ICOM, საგამომცემლო ორგანიზაციები, საჯარო და კერძო სკოლები, გალერეები, ევროპული კვლევითი ცენტრი). თითოეული მემორანდუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამშრომლობამ კონტრიბუცია უნდა შეიტანოს სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარების განვითარებაში. პრაქტიკული ტრენინგ კურსის განხორციელება და სტუდენტების შეფასება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოხდება.

როგორც გასაუბრების დროს გაირკვა, პარტნიორი ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ 25 სტუდენტი. მათი მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული თანდართულ დოკუმენტებში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის ხანგრძლივობა ზუსტად არ არის განსაზღვრული, იგი მაინც შეუწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. . ამ ეტაპზე თანამშრომლობა მოიცავს სტუდენტების ჩართულობას შესაბამისი საფეხურის კვლევით პროექტებში. აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაცია მიმართულია საუკეთესო შესაძლო სწავლის შედეგების მიღწევაზე.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებისა და მათი სამეცნიერო და სასწავლო გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში ჩართულები არიან ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სტუდენტებს და უზრუნველყოფენ მათ საქმიანობის პროფესიულ და კვალიფიციურ შეფასებას.

დასასრულს, კავკასიის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კომპლექსურ განათლებას, რომელიც აერთიანებს პრაქტიკულ, პროფესიულ, საჭირო ტექნოლოგიურ ცოდნას და კვლევაზე ორიენტირებულ უნარებს. გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და კლასგარეშე აქტივობების გზით, სტუდენტები იძენენ კარგად დაბალანსებულ უნარებს, რაც მათ წარმატებული კარიერისათვის ამზადებს ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება
- ადგილზე ვიზიტი;
- მემორანდუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსში განსაზღვრული პრაქტიკული დავალებები
- არსებულ პროგრამებთან დაკავშრებით სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სილაბუსებში ინტეგრირდეს პრაქტიკული გამოცდილება გამოფენების მომზადების პროცესში. საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნული უნდა განხორციელდეს თანამედროვე კულტურულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით.
- სასურველია, სტუდენტთა მხარდაჭერა, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო საბაკალავრო ვორქშოფებში, კონფერენციებსა და საზაფხულო სკოლებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**X**	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს, სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილია ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე დაფუძნებული, წერითი, დემონსტრირების, დისკუსიის/ დებატების, ჯგუფური მუშაობის, ელექტრონული სწავლის, განმარტებითი, სხვადასხვა პრაქტიკული მეთოდები და სხვა. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის ფართო ცოდნის მიწოდებაზე სფეროში, რაც მოიცავს თეორიების, მოდელებისა და პრინციპების გაგებას, ასევე სფეროს კომპლექსური საკითხების შესწავლასა და ანალიზს. ამ მიზანს ემსახურება საგანმანათლებლო პროცესში პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, მოწვეული სპიკერების ერთდღიანი ლექციების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საგანმანათლებლო ტურების ინტეგრირება. სწავლება-სწავლის მეთოდები სრულად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სილაბუსების უმეტესობა მოიცავს როგორც კარგად გამოცდილ, ისე ინოვაციურ სწავლების მეთოდებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში სასურველია მათი გადახედვა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად, სასურველია პრაქტიკული მეთოდების გამოყენების გაზრდა (მაგალითად, სამუზეუმო პრაქტიკის ან საველე სამუშაოს მეთოდები) ისეთ კურსებში, როგორიცაა „პრეისტორიული და ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების ისტორია,“ „ევროპული ხელოვნების ისტორია ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე “ და ა.შ. ასევე სასურველია გაიზარდოს ხელოვნების ნიმუშის სამხატვრო-სტილისტური თავისებურებების ანალიზის, ასევე მისი ინტერპრეტაციისა და შეფასების მეთოდების გამოყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა „ბაროკო: სტილის ევოლუცია ელ გრეკოს, კარავაჯოს, ველასკესის, რუბენსის, რემბრანდტის და სხვათა შემოქმედების მიხედვით.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- სილაბუსები
- პროგრამა
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საფუძვლიანად გადაიხედოს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები, ვინაიდან ზოგიერთ კურსში უკვე წარმატებით გამოიყენება ინოვაციური მიდგომები, მაშინ როცა სხვა კურსები საჭიროებს მეთოდოლოგიურ დახვეწას, რომელიც უკეთ მოერგება თითოეული საგნის სპეციფიკურ მოთხოვნებს.
    - კერძოდ, ეს გულისხმობს ზოგიერთი კურსის სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვას მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგალითად, სასურველია პრაქტიკული მეთოდების (როგორიცაა სამუზეუმო პრაქტიკა ან საველე მეთოდები) გამოყენების გაზრდა ისეთ კურსებში, როგორიცაა „პრეისტორიული და ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების ისტორია,“ „ევროპული ხელოვნების ისტორია ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე“ და ა.შ. ასევე სასურველია გაიზარდოს ხელოვნების ნიმუშის სამხატვრო-სტილისტური თავისებურებების ანალიზის, მისი ინტერპრეტაციისა და შეფასების მეთოდების გამოყენება ისეთ კურსებში, როგორიცაა „ბაროკო: სტილის ევოლუცია ელ გრეკოს, კარავაჯოს, ველასკესის, რუბენსის, რემბრანდტის და სხვათა შემოქმედების მიხედვით.“

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	**X**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია შეფასების სისტემა, რომელიც მოქმედებს მკაფიოდ განსაზღვრულ მარეგულირებელ ჩარჩოში და ეფუძნება როგორც ეროვნულ, ისე ინსტიტუციურ მმართველობით სტრუქტურებს. კონკრეტულად, შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და კავკასიის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების (კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის რეგულაცია) შესაბამისად.

შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება „შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს,“ რაც მოიაზრებს შეფასების უწყვეტ პროცესს, ნაცვლად იზოლირებული შემთხვევებისა. ეს მიდგომა მოითხოვს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მიუთითებს იმაზე, რომ პროცედურები ითვალისწინებდეს რეგულარულ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს, რომელიც ამავე დროს იძლევა კონკრეტული საგნის მოთხოვნებზე მორგების შესაძლებლობას. შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის შინაარსსა და სპეციფიკას და შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების სტრუქტურა ეფუძნება დეტალურ 100-ქულიან სისტემას, რომელიც ნათლად განსაზღვრავს შეფასებების კლასიფიკაციას. პროცედურები გამოყოფს ხუთ დადებით (A-დან E-მდე) და ორ უარყოფით (FX და F) შეფასების კატეგორიას, თითოეულს – შესაბამისი ქულათა დიაპაზონითა და თანდართული განმარტებებით.

პროცედურები ითვალისწინებს შეფასების როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდოლოგიებს, რაც ქმნის შეფასების კომპლექსურ ჩარჩოს. განმსაზღვრელი შეფასება აკვირდება სწავლების ხარისხსა და სტუდენტის მიღწევის დონეს, სასწავლო კურსის მიზნების მიხედვით, ხოლო განმავითარებელი შეფასება მიმართულია სტუდენტის განვითარებაზე და უზრუნველყოფს შესაბამის უკუკავშირს სტუდენტთა მიღწევებზე.

გამჭვირვალობა მიღწეულია შეფასების კრიტერიუმების სისტემატური დოკუმენტაციით სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეებზე. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოცემულია პროგრამის აღწერაში, ხოლო შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების სისტემა გამჭვირვალობას - ობიექტურობის, სანდოობისა და ვალიდურობის პრინციპებთან ერთად - განიხილავს როგორც ერთ- ერთს იმ ოთხი ძირითადი პრინციპიდან , რომელსაც ეფუძნება შეფასების ყველა აქტივობა. გამჭვირვალობის ძირითადი პრინციპის დონეზე განხილვით, ნაცვლად უბრალო პროცედურული კომპონენტისა, საგანმანათლებლო დაწესებულება აჩვენებს ფუნდამენტურ ერთგულებას შეფასების ღია და გასაგები პრაქტიკებისადმი.

შეფასების ისეთ კომპლექსურ კომპონენტში, როგორიც საბაკალავრო ნაშრომია, ფაკულტეტმა კიდევ უფრო მეტად განავითარა გამჭვირვალობის ინსტრუმენტები. ფაკულტეტის ვებგვერდზე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დეტალური ინსტრუქციები, რომელიც მოიცავს მომზადებას, დიზაინს, პრეზენტაციას და შეფასებას.

შეფასების სისტემა გამჭვირვალობას აძლიერებს შეფასების პროცესში გაზომვადი კრიტერიუმებისა და სათანადო რუბრიკების გამოყენებით. შეფასების ეს სტანდარტიზებული ინსტრუმენტები შეფასების სტანდარტების აშკარასა და გასაგებს ხდის სტუდენტთათვის, რითაც საშუალებას აძლევს ზუსტად გაიგონ, როგორ შეფასდება მათი ნაშრომი დადგენილ სტანდარტებთნ მიმართებით. შეფასების სისტემის სანდოობა კიდევ უფრო ძლიერდება, გამოყენებული მეთოდების თანხვედრით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. შეფასების კომპონენტები შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის

შედეგებს, რაც უზრუნველყოფს, რომ შეფასება სანდოდ ზომავს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.

შეფასების სისტემის სანდოობა დამატებით ძლიერდება აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმებით. უნივერსიტეტს აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, რომელიც მხარდაჭერილია პლაგიატთან ბრძოლის ელექტრონული პროგრამა Turnitin-ის საშუალებით. აღნიშნული პროგრამის გამოყენება კურსებსა და პროექტებში უზრუნველყოფს, რომ შეფასების შედეგები რეალურად ასახავს უშუალოდ სტუდენტის მიერ გაწეულ სამუშაოს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების სანდოობას.

აკადემიური კეთილსინდისიერების ზომების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის მეშვეობით სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია ტრენინგები Turnitin-ის გამოყენების მიმართულებით.

სტუდენტებს კრედიტები ენიჭებათ საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს შუალედური და საბოლოო გამოცდის ქულებს. ეს კრედიტებზე დაფუძნებული სისტემა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სტანდარტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქციები
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა
- საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- გამოცდების ჩატარების დებულება
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი.
- გამოცდების წესები და რეგულაციები.
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. სტუდენტების შეფასება**:**	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება**,** პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები**,** მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტთა კონსულტირების ორგანიზებულ მიდგომას ავლენს, რომელიც იწყება მათი ჩარიცხვის ეტაპზე. ახლადჩარიცხული სტუდენტები მონაწილეობენ საორიენტაციო ტრენინგში, რომელიც მათ აცნობს საგანმანათლებლო პროცესის ძირითად ასპექტებს. ტრენინგის განმავლობაში სტუდენტები იღებენ საინფორმაციო მასალებს, რომლებიც შექმნილია იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო გარემოში ეფექტურ ორიენტაციას. ასევე, სკოლის დეკანები ატარებენ პროგრამის პრეზენტაციებს ახალჩარიცხული სტუდენტებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს საფუძვლიანად გაეცნონ საგანმანათლებლო პროგრამებს და უშუალოდ ითანამშრომლონ ადმინისტრაციულ პერსონალთან.

უნივერსიტეტს შექმნილი აქვს მრავალი არხი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ საკონსულტაციო სერვისებზე. მათ შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ აკადემიური

მენეჯერებისგან და პროგრამის ხელმძღვანელებისგან მათთვის საინტერესო საკითხებზე. კონკრეტულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული საკითხებისთვის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციებით, რომლებიც ტარდება კურსების ხელმძღვანელების მიერ, სილაბუსში განსაზღვრულ სპეციალურ საათებში.

ინფორმაციის მართვის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განმავლობაში საჭირო ინფორმაციის დროულ მიწოდებას. ჩარიცხვის ეტაპზე, სტუდენტები ერთიანდებიან შიდა საინფორმაციო ქსელში და გადაეცემათ საუნივერსიტეტო ელფოსტის ანგარიში. ეს ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სრულ ინტეგრაციას უნივერსიტეტის საინფორმაციო სივრცეში და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შიდა ქსელის მეშვეობით გავრცელებული ყველა კომუნიკაციის მიღებას სტუდენტების მიერ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც ორიენტირებული არიან სტუდენტების მხარდაჭერაზე, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურები. ეს სამსახური სთავაზობს საინფორმაციო სერვისებს, გასცემს სხვადასხვა სახის ცნობებს, სთავაზობს კონსულტაციებს, იღებს და პასუხებს სტუდენტთა განცხადებებს, ასევე კოორდინირებას უწევს პრობლემების გადაჭრას შესაბამის სკოლებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან. აღნიშნული მექანიზმები ქმნის გარემოს, სადაც სტუდენტებს მარტივად შეუძლიათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია საკუთარი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის.

სტუდენტებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური წინსვლის ხელშეწყობისთვის შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი;
- საბაკალავრო პროგრამების დირექტორები;
- სკოლის დეკანები (საჭიროების შემთხვევაში);
- საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური;
- მონიტორინგისა და სტუდენტური სერვისების დეპარტამენტი.

ზემოაღნიშნული მხარდამჭერი სტრუქტურები უზრუნველყოფენმ სტუდენტების წვდომას შესაბამის გზამკვლევობაზე სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეებზე, რაც ეხმარება მათ ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებსა და აკადემიურ წინსვლაში.

ცალკე აღსანიშნავია კარიერული განვითარების მხარდაჭერა, რა ნაწილშიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური. ეს სამსახური აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, რათა სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამებსა და კარიერულ სერვისებს შორის ამგვარი კავშირი ასახავს უნივერსიტეტის ძალისხმევას აკადემიური მიღწევების მიღმა სტუდენტების პროფესიული განვითარების მიმართულებითაც.

დოკუმენტში მითითებულია დამატებითი მხარდამჭერი ერთეულებიც, რომლებიც ამდიდრებს სასწავლო გამოცდილების მრავალფეროვნებას, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და

პროექტების დეპარტამენტი და სტუდენტური და ორგანიზაციული ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურები. აღნიშნული ერთეულები უზრუნველყოფენ კვალიფიციურ და უწყვეტ საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც სცდება მხოლოდ აკადემიური საკითხების ფარგლებს და ხელს უწყობს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა საერთაშორისო გამოცდილება და ექსტრაკურიკულარული ჩართულობა, აღნიშნული ხელს უწყობს კარგად დაბალანსბული საგანმანათლებლო გამოცდილების ჩამოყალიბებას.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა გასაუბრებამ აჩვენა მათი მაღალი კმაყოფილება უნივერსიტეტის სერვისებითა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების მონიტორინგს საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების მიმართ, რაც ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კომპონენტია. თუმცა, გასაუბრბის სესიებმა აჩვენა, რომ სტუდენტები არასაკმარისად არიან ინფორმირებული სტუდენტთა ომბუდსმენის სამსახურის შესახებ. შესაბამისად, სასურველია, სტუდენტების ინფორმირება განხორციელდეს უფრო აქტიურად და გაძლიერდეს ამ მიმართულებით ძალისხმევა, რათა აღნიშნული მხარდაჭერის სერვისით სტუდენტებმა რეალურად ისარგებლონ.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტს შექმნილი აქვს მრავალი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური წარმატების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით. აღნიშნულ მექანიზმებში შედის როგორც სპეციალიზებული ადმინისტრაციული ერთეულები, ისე პროფესორ- მასწავლებლების საკონსულტაციო საათები და კარიერული განვითარების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტუდენტური აქტივობების მიმართულებით ორიენტირებული სერვისები. საინფორმაციო სისტემები, საორიენტაციო პროცესები და გზამკვლევობის მიღების სხვადასხვა არხები ხელს უწყობს მრავალფეროვან სასწავლო გამოცდილებას, რადგან უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციებზე პროგრამის პერსონალისა და ინსტიტუციური სტრუქტურებისაგან. წარდგენილი და მოთხოვნილი დოკუმენტაცია, აგრეთვე გასაუბრების სესიებიდან მიღებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით უზრუნველყო აღნიშნული სერვისების დანერგვა, რაც ეფექტურად პასუხობს სტუდენტების საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დებულება;
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება;
- კავკასიის უნივერსიტეტის წესდება;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის პროცედურა.
- სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დანერგვის პროცედურა.
- საგანმანათლებლო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები**:** არ არის მითითებული**.**

რჩევები პროგრამის განსავითარებლად**:**

- სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ცნობიერება და ცოდნა სტუდენტური ომბუდსმენის სამსახურის შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები**,** მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალი პროგრამაში ჩართულია შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და კავკასიის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის პერსონალი შედგება შესაბამისი კვალიფიკაციისა და აკადემიური გამოცდილების მქონე პირებისგან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პერსონალი დაკომპლექტებულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებით, რომლებიც ჩართული არიან პრაქტიკულ საქმიანობასა და პროექტებში.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, დარგობრივი მიმართულების თანამშრომლების უმეტესობა ახალი დაქირავებულია. გასაუბრების შედეგების მიხედვით, ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევაზე ძირითადად პასუხისმგებელნი იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები. მოწვეული პერსონალი დაინიშნა, ხოლო აკადემიური პერსონალის შერჩევა განხორციელდა ღია აკადემიური კონკურსის საფუძველზე (6 ახალი აკადემიური პერსონალი).

აკადემიური პერსონალის რაოდენობა, აკადემიურ და მოწვეულ თანამშრომელთა თანაფარდობა, ასევე აფილირებული პერსონალის წილი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და პერსონალის ფუნქციების შესრულებას. ახლადდამატებული პერსონალის უმეტესობას კავკასიის უნივერსიტეტში დატვირთვა არ გააჩნია; თუმცა, პროგრამის პერსონალის სემესტრული დატვირთვა, ასევე QMS- ის მონაცემებზე დაფუძნებული დატვირთვა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად განხორციელებას და პერსონალის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.
კავკასიის უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სწავლებას, კვლევას და კონსულტაციებს. ეს სქემა თითოეულ სემესტრში ივსება აკადემიური პერსონალის მიერ. უნივერსიტეტის პრაქტიკის მიხედვით, დამატებითი სასწავლო საათები, მაგალითად, ახალი პროგრამის დაწყებისას, სრულდება ან სასწავლო კურსის კურატორების, ან სხვა ლექტორების მიერ.

ახალ თანამშრომლებს არ ჰქონდათ არსებითი ცოდნა პერსონალის დატვირთვის შესახებ რეგულაციების, შესრულების ზღვარების, ან კვირაში მინიმალური და მაქსიმალური სასწავლო საათების თაობაზე. შესაბამისად, შესაძლებლია უნივერსიტეტმა სრულყოფილად აუხსნას და გადასცეს

ახალ პერსონალს ინფორმაცია პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებული მოლოდინების და შესრულების ზღვარების შესახებ, რათა ორივე მხარისთვის მოლოდინები იყოს ნათელი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [4]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**17**			
- პროფესორი	5	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	9	4	4	4
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	0	3/0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	21	17	9	_
სამეცნიერო პერსონალი	-			_

პროგრამების ხელმძღვანელები არიან სფეროს კვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული გამოცდილება პროგრამის განხორციელებისა და მისი შემდგომი განვითარების მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებასა და მომავალი სტუდენტების მხარდაჭერას უზრუნველყოფს შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და პირადი საქმეები.
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**:**

- სასურველია, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, პროგრამამ შეიმუშავოს უფრო მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები პერსონალის დატვირთვისა და შესრულების მოლოდინების შესახებ და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი მიწოდება, განსაკუთრებით ახალ თანამშრომლებთან. სასურველია წახალისების მექანიზმების დაწესება მოწვეული

[4] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პერსონალისთვის, რომლებიც ამჟამად მუშაობენ შედარებით დაბალი ანაზღაურების პირობებში. ეს გააუმჯობესებდა მათ მოტივაციასა და შენარჩუნებას. სასურველია პერსონალის რეზიუმეების განახლება, რათა ასახავდეს მათ ბოლო აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობას. ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას და პროგრამის აკადემიური პოტენციალის უკეთ წარმოჩენას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	✔	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, ასევე პროგრამისა და სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესების მიზნით. იმის გამო, რომ პროგრამა ახალია, ამ ეტაპზე არ არსებობს კონკრეტულად ამ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, თუმცა კავკასიის უნივერსიტეტში არსებული მექანიზმები და პრაქტიკა ადასტურებს ინსტიტუციურ მიდგომას, რომელიც ახალ პროგრამაზეც გავრცელდება. თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები და შედეგები, სტუდენტთა გამოკითხვები და პერსონალის კმაყოფილების კვლევები.

კავკასიის უნივერსიტეტი მხარს უჭერს როგორც პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ისე მათ სამეცნიერო- კვლევით საქმიანობას, რისთვისაც არსებობს შესაბამისი სტრუქტურები და მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა. კვლევების ხელშეწყობის დეპარტამენტი გეგმავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს ყველა იმ აქტივობას, რომელიც მიზნად ისახავს

უნივერსიტეტის სკოლებში კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას (მათ შორის ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, რომლებიც აფინანსებენ კვლევით პროექტებს), ინტერნაციონალიზაციას (პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან ერთობლივი კვლევითი პროექტების ინიცირებას) და აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობას.

კავკასიის უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს შიდა საგრანტო დაფინანსებას თანამშრომელთა კვლევითი პროექტებისთვის, რომელში მონაწილეობა მოწვეულ პერსონალსაც შეუძლია აკადემიური პერსონალთან ერთად. უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს პერსონალის საერთაშორისო აქტივობებს, მობილობასა და პროექტებში ჩართულობას, რაც განიხილება როგორც განვითარების ერთ- ერთი ინსტრუმენტი. უნივერსიტეტი ატარებს კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებს ადგილობრივ დონეზე, რათა ხელი შეუწყოს პერსონალს.

თუმცა, გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მოწვეული პერსონალი, ერთი მხრივ, სრულად არ არის ინფორმირებული განვითარების შესაძლებლობებზე, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროებს მეტ მხარდაჭერას პროფესიული ზრდისა და აღიარების მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელები, ისევე როგორც პროგრამის პერსონალის ნაწილი , ჩართულნი არიან კვლევით საქმიანობაში. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ პროგრამის პერსონალის საერთო კვლევით აქტივობას (კვლევით შედეგებს), აუცილებელია პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობის შემდგომი გაძლიერებისთვის, რაც სასარგებლო იქნება როგორც პერსონალის, ისე პროგრამის და დარგის შემდგომი განვითარებისათვის უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პერსონალის, პროგრამის და დარგის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში, სასურველია პერსონალის მხარდაჭერა მათი კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიმართულებით.
- სასურველია, გაიზარდოს მოწვეული პერსონალის განვითარების მხარდაჭერა და შესაბამისი წახალისების მექანიზმების უზრუნველყოფა
- სასურველია, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის წახალისება საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად; ასევე საერთაშორისო მეცნიერების, ლექტორების, კურატორების, გალერისტების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; სასურველია

აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში; კავშირები დამყარება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრთან.

- სასურველია განახლდეს ზოგიერთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ბი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	✔	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის წესდებასა და კონკრეტულ საგანმანათლებლო მიზნებს. უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ- ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამების წარმატებით განხორციელებაში.

უნივერსიტეტმა უზრუნველყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა და შენარჩუნება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების მხარდაჭერას. აღნიშნული რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რაც უზრუნველყოფს მათთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომას სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს იმ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას, რომელიც სპეციალურად მორგებულია პროგრამის მოთხოვნებზე. მაგალითად:

- სასწავლო ვიზიტები საქართველოს რეგიონებში – სულ 5 ვიზიტი
- სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ – 7 დღით

- სტუდენტებს წვდომა აქვთ ისეთი რესურსებზე, როგორიცაა ბიბლიოთეკები და ციფრული ბაზები, რაც საშუალებას აძლევს მათ ჩაატარონ კვლევა და გაიღრმავონ ცოდნა ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში.

უნივერსიტეტის მრავალმხრივი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობით, ამ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ სწავლის პროცესში და შეზღუდვების გარეშე აღმოაჩინონ თავიანთი ინტერესები ხელოვნების სფეროში. მატერიალურ- ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობა აძლიერებს საერთო სასწავლო გამოცდილებას და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ იმ ცოდნისა და უნარების შეძენას, რომლებიც აუცილებელია მათ მიერ შერჩეულ სფეროში. კავკასიის უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის ერთგულება უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას და ხელს უწყობს შემოქმედებითი აზროვნების მქონე ადამიანების განვითარებას ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით.

კავკასიის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა – კომპიუტერული რესურსების ცენტრები, სრულად აღჭურვილი საკლასო ოთახები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი ფონდით (23 651 ბეჭდური და 7 986 ელექტრონული ერთეული) და მდიდარი ელექტრონული რესურსებით, მათ შორის საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით – უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტების მიერ შეფასებებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შესაძლებლობისა და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ სისტემას სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების პროცესის ორგანიზებისთვის. (ეს ნაწილი მხოლოდ ქართულენოვან ვერსიაშია მოცემული და არ ერთვის ინგლისურენოვანს).

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს საინფორმაციო რესურსცენტრს, რომელიც სხვადასხვა სერვისის მეშვეობით უზრუნველყოფს საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას, რითაც ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის გაუმჯობესებას, სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას და ახალი ცოდნის გენერირებას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის შენობაში (პაატა საკამის ქუჩა №1). პროგრამის სტუდენტები ისარგებლებენ საერთო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, რომელიც მოიცავს როგორც პროფესიულ ლიტერატურას, ისე სავალდებულო ლიტერატურასა და პროგრამის სილაბუსებში მითითებულ შესაბამის რიდერებს. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა მომხმარებლებს სთავაზობს საინფორმაციო და საკომნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის: სასწავლო დარბაზებს, შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახებს;

უნივერსიტეტს აქვს რვა კომპიუტერული კლასი შესაბამისი აღჭურვილობითა და მულტიმედია რესურსებით; ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროექტორებითა და კომპიუტერებით; ასევე ხელმისაწვდომია პრინტერები და სკანერები, 20 ერთეული „ჭკვიანი დაფა," „Kyocera" -ს ასლის აპარატები, ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი და შესაბამისი ქსელი („Cisco," „Aruba/HP" გადამრთველები, „Fortinet NG Firewall" და სხვა). უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია Wi-Fi-ზე წვდომა ღია რეჟიმში.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა იდენტიფიცირებულია და მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ინტერვიუსა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას წიგნადი ფონდის საშუალებით. პროგრამის სილაბუსებში განსაზღვრულია კონკრეტული ლიტერატურა, რომლის ხელმისაწვდომობასაც ბიბლიოთეკა სრულად უზრუნველყოფს. დამატებით, ბიბლიოთეკა ამზადებს სასწავლო მასალებს, ე.წ. „რიდერებს," რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმატით. ბეჭდური რიდერები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის საკითხავ დარბაზებში, ხოლო მათი ელექტრონული ვერსიები განთავსებულია შესაბამის ელექტრონულ სისტემაში, თუმცა წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით. რიდერის შინაარსი მზადდება პროფესორების ან სასწავლო კურსის ხელმძღვანელების მოთხოვნის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას საავტორო უფლებების დაცვის წესებთან . ყველა აღნიშნული რესურსი დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად და განთავსებულია ონლაინ კატალოგში, სადაც შესაძლებელია მათი მოძებნა. გარდა ამისა, უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე შემდეგი ელექტრონული ბაზების მეშვეობით: EBSCO HOST, Legal Source, Scopus, Taylor and Francis, ScienceDirect და ა.შ. ასევე სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალებზე: Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Open Edition Journals, Royal Society Journals Collection და ა.შ. უნივერსიტეტი იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკას, რომლის განმტკიცებასაც უზრუნველყოფს პლაგიატის გამოვლენის პროგრამა Turnitin-ის გამოყენება. აღნიშნული ინსტრუმენტის ინტეგრირება სასწავლო კურსებსა და პროექტებში უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასების შედეგები ასახავს სტუდენტების ორიგინალურ ნამუშევრებს, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება შეფასებების სანდოობა.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომპლექსურ რესურსებს იმ სტუდენტების მხარდაჭერისათვის, რომლებიც სწავლობენ ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში. ბეჭდური და ელექტრონული მასალების კომბინაცია, აგრეთვე სამეცნიერო ბაზებზე წვდომა, ასახავს ინსტიტუციის ძალისხმევას, სტუდენტებს შესთავაზოს ღირებული აკადემიური რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- არსებული ინფრასტრუქტურა;
- გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზები
- დამატებით გამოთხოვნილი დოკუმენტები;
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის, JSTOR -ის დამატება, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ერთ- ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ონლაინ რესურსია. სასურველია, სასწავლო მასალები ხელმისაწვდომი იყოს ონლაინ რეჟიმში და წვდომა განხორციელდეს საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
- სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ელექტრონული ონლაინ სწავლების სისტემის დანერგვას შესაბამის ონლაინ პლატფორმაზე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	**X**	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა კარგადაა დაგეგმილი. პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყაროებია სტუდენტთა გადასახადები და სახელმწიფო დაფინანსება (ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო გრანტის მქონე

სტუდენტები). უნივერსიტეტის ერთგულება ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის სტრატეგიული განვითარების მიზნების მიმართ იძლევა გარანტიას, რომ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის ჩარიცხვის შემთხვევაშიც კი, პროგრამის ყველა ხარჯი დაიფარება უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ინსტიტუციური მხარდაჭერის სიძლიერეს პროგრამის წარმატების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დამატებითი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა - უნივერსიტეტის შიდა დაფინანსების სახით სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისთვის. აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო საგრანტო დაფინანსებაც ხელს უწყობს პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას.

საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა სათანადოდაა უზრუნველყოფილი აკადემიური პერსონალის ანაზღაურებით, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტში (კონფიდენციალურობის გამო, ანაზღაურების კონკრეტული ოდენობები დაფარულია). ბიუჯეტი ასევე მოიცავს ხარჯებს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისთვის. ფინანსური გათვლები ასევე მოიცავს: საკონტაქტო საათებს სწავლებისა და პრაქტიკულ ტრენინგებისთვის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯებს, სასწავლო ვიზიტებს საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ (92 318 ლარი) და სხვა. პროგრამისთვის საჭირო ნებისმიერი დამატებითი ხარჯი დაფარება სარეზერვო ფონდიდან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების არსებობას (საგულისხმოა, რომ სარეზერვო ფონდის მოცულობა შთამბეჭდავია).

ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიურად მიღწევადია და შეესაბამება თითოეული პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი მოიცავს ყველა საჭირო ხარჯს, მათ შორის პროგრამის განვითარებას, რესურსების დაფინანსებას, პერსონალსა და სხვა შესაბამის დანახარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ საწყისი ბიუჯეტის გათვლა ეყრდნობა 25 სტუდენტს, ფაკულტეტი სრულად აცნობიერებს საკუთარ ფინანსურ პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ მხარდაჭერას.

დასასრულს, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლამ შეიმუშავა კარგად სტრუქტურირებული ფინანსური გეგმა ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მხარდასაჭერად. საგრანტო დაფინანსების მოძიებისკენ მიმართული ძალისხმევა და საჭიროების შემთხვევაში ცენტრალური ბიუჯეტიდან რესურსების გადანაწილების მოქნილობა ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას და ორიენტირს მის წარმატებაზე, რაც ასევე გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- პროგრამის ბიუჯეტი
- ადგილზე ვიზიტი;
- არსებული ინფრასტრუქტურა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრება

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს

პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისადმი სტრუქტურირებულ მიდგომას ავლენს და იყენებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. პროგრამის რეგულარული მონიტორინგი და გადახედვა უზრუნველყოფს შესაბამისი მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და გამოყენებას პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სერვისების სისტემური გამოყენება ასახავს ერთგულებას სწავლების ეფექტურობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიმართ.

პროგრამის ერთ- ერთ ძლიერ მხარედ ითვლება შიდა ხარისხის შეფასების კარგად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს უფრო ფართო - ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფარგლებში. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს პერსონალის დროულ ტრენინგს, განმანათლებლებს აღჭურვავს განახლებული პედაგოგიური მიდგომებით და უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის შესაბამისობას თანამედროვე აკადემიურ და დარგობრივ სტანდარტებთან. გარდა ამისა,, „ინტერაქტიული სწავლების რუკის“ შემუშავება და მონიტორინგი აძლიერებს სტრუქტურირებულ სწავლას და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას დინამიკური და ადაპტური საგანმანათლებლო სტრატეგიების მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს მყარი საფუძველი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასების და ადაპტაციის ციკლის აქტიური შენარჩუნება. მომავალში, შიდა შეფასების კულტურის კიდევ უფრო გაძლიერება, განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის ჩართულობით, მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, რომ შეფასების ციკლი იყოს სრულყოფილი და პროცესში ყველა იყოს ჩართული. საერთო ჯამში, არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ქმნის სტაბილურ ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და გრძელვადიან აკადემიურ განვითარებას

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, როგორც ეს განხილული იყო ინტერვიუებში.
- პროგრამის აღწერილობა
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან და პარტნიორებთან.

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შიდა შეფასების კულტურის გაძლიერება, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	**X**	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი მძლავრი სისტემებისა და მექანიზმების შესაბამისად, ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამა აქტიურად აერთიანებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. რეგულარული გარე შეფასებები - მას შემდეგ, რაც პროგრამა დაიწყებს ფუნქციონირებას და ხელმისაწვდომი გახდება ფაქტობრივი მონაცემები - მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის დახვეწას და მის შესაბამისობას როგორც ეროვნულ, ისე ინსტიტუციურ სტანდარტებთან. პროგრამის ერთგულება გარე უკუკავშირის ინტეგრირების მიმართ ამყარებს მის სანდოობას და უზრუნველყოფს სწავლება- სწავლის პრაქტიკების მუდმივ აქტუალობას. აღნიშნული ცხადი გახდა, მათ შორის, მაღალი პროფილის გარე დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრების საშუალებით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შემუშავებაში და მომავალშიც მზად არიან მომავალშიც განაგრძონ იგივეს კეთება.

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერებისათვის, პროგრამისთვის სასარგებლო იქნება გარე ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გაფართოება - როგორც კოლეგიალური შეფასების, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებისთვის. წამყვან უნივერსიტეტებთან, პროფესიულ სახელოვნებო ორგანიზაციებთან და სხვა (საუკეთესო შემთხვევაში საერთაშორისო) აკრედიტაციის ორგანოებთან პარტნიორობის დამყარება პროგრამას მიაწოდებდა შედარებით ინსაითებს და ხელს შეუწყობდა საუკეთესო პრაქტიკების დანერგვასა და ინოვაციური სწავლების მიდგომების განვითარებას. სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება საერთაშორისო შედარებითი ანალიზისთვის გააძლიერებს პროგრამის პოზიციონირებას გლობალურ აკადემიურ სივრცეში და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მზადყოფნას საერთაშორისო კარიერული შესაძლებლობებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და პარტნიორებთან.

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურევლია დამატებითი ძალისხმევა იქნას მიმართული გარე კოლეგიალური შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და მათზე რეაგირების მიმართულებით

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	**X**	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კონტექსტში ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამას აქვს სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის - მათ შორის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების - აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში. პროგრამაზე მოსალოდნელია, რომ განახორციელდება მონაცემების რეგულარული შეგროვება და ანალიზი, საკუთარი ეფექტიანობის შესაფასებლად და გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ინფორმაციის საფუძველზე.

პროგრამის ერთ- ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მისი უკუკავშირის ინკლუზიური მექანიზმი, რომელიც დამახასიათებელია კავკასიის უნივერსიტეტისთვის და კარგადა ჩამოყალიბებული პრაქტიკაა,რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი შეხედულებების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით, პროგრამისგან მოსალოდნელია, რომ იქნება მეტად მორგებული მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ინდუსტრიის მოლოდინებზე. დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და შეფასების სხვადასხვა ეტაპებზე კიდევ უფრომეტად აახლოებს სასწავლო გეგმას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმებადობას.

შეფასების შედეგების გამოყენება მოსალოდნელია უწყვეტი გაუმჯობესების ციკლში, რაც პროგრამას საშუალებას მისცემს დინამიურად ადაპტირდეს. აღნიშნული მიდგომა განმტკიცებულია უნივერსიტეტის მასშტაბით მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი, რომელიც ქმნის სტაბილურ საფუძველს სწავლის შედეგების მონიტორინგისთვის, აკადემიური პერსონალის განვითარებისა და რესურსების განაწილებისთვის. დამატებით, „ინტერაქტიური სწავლების რუკა“ წარმოადგენს ფასეულ ინსტრუმენტს, რომელიც დროთა განმავლობაში სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის მონიტორინგს უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები**:**

- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პარტნიორებთან

რეკომენდაციები**:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**X**	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია **(**ასეთის არსებობის შემთხვევაში**):**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**:**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**,** საფეხური**:**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**X**	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**X**	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**X**	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**X**	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**X**	☐	☐	☐